№ 89 აპრილი 28, შაბათი 1890 აპრილი 28, შაბათი № 89

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | ? 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ქუკიაში, აჭრილის ქუჩა, თ. გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სალიტერატურო და საპოლიტიკო გაზეთი 1877—1890

კვირას, 29 აპრილს, ოფიციალურად გაიმართება

## ქუთაისში

კერძო სამკურნალო ს. ბ. თოფურიასი მოსულთა ავადმყოფთათვის და მუდმივ საწოლებით. ავადმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე დილის ცხრა საათიდამ სამ საათამდის: შინაგანი ავადმყოფობისათვის მიიღებს ს. ბ. თოფურია. ხირურგიულისა და ვენერიულისათვის—ლ. ა. გავსევეი. საბებიო და ქალის ავადმყოფობისათვის—ექიმი-ქალი მ. ფ. კალანი. ელექტრონით ექიმობას იკისრებს კვირაში სამჯერ (კვირაობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით) ნაშუადღევის ხუთ საათიდამ შვიდ საათამდის ქუთაისის სამხედრო საავადმყოფოს უფროსი ექიმი, საექიმო მეცნიერების დოქტორი კეიხელი.

სამკურნალოსთან იქმნება გამართული კაბინეტი ავადმყოფთა დასაზელად (მასაჟისათვის) ექიმების ხელმძღვანელობით და კაბინეტი შარდისა და ნახველის გამოსაკვლევად.

ფასი ექიმობისა თითოეულ ნახვაზედ ათი შაურია. კონსილიუმი (რჩევა), რომელიც შესდგება სამკურნალოს ყველა ექიმებისაგან, ეღირება სამი მანეთი. შარდის თუ სებათა გამოკვლევა—ერთი მანეთი; შარდის გამოკვლევა რაოდენობის მხრით—სამი მანეთი; მიკროსკოპით გამოძიება ნახველისა—ორი მანეთი; დაზელვისა (მასაჟის), ელექტრონით ექიმობისა და აგრეთვე საავადმყოფოში დაწოლისა და მოვლის ფასი გარიგებით იქმნება.

მომსვლელ ავადმყოფებს მიიღებენ ბალახვანის ქუჩაზედ, სტეფანოვის სახლში. მუდმივი ქვეშაგებიან-საწოლიანი სამკურნალო იმყოფება ბოკერიას სახლში, ქუთაისის ბულვრის პირდაპირ.

სამკურნალოს დირექტორი ს. მ. თოფურია

(6—6)

## რედაქციისაგან

მოვაგონებთ ჩვენს ხელის-მომწერთ, სოფლის მასწავლებელთ გარდა, რომ ვისაც მხოლოდ ხუთი მანათი აქვს წარმოდგენილი გაზეთის ფასად, დანარჩენიც გამოჰგზავნონ პირველ მაისამდე ვინც ამ დრომდე არ გამოჰგზავნის დანარჩენს ფულს, გაზეთის გზავნა მოესპობა პირველ მაისიდგან.

ქუთაისის საქალაქო გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ „12“-ს მაისს დანიშნულია ვაჭრობა განუმეორებლად, რათა იჯარით იქმნას გაცემული შემოსავალი ქუთაისის ხიდებისა. ვადა იჯარისა ოთხი წელიწადია. ვაჭრობაზედ თვით გამგეობა დაესწრება.

ვისაც ჰსურს აილოს იჯარა, უნდა წინად ანუ ბედ წარმოადგინოს ხუთასი მანათი ფული ან ბანკის ბილეთები.

ვაჭრობა სიტყვიერად იქმნება. შეიძლება აგრეთვე მსურველმა თავისი პირობა დაბეჭდილის წიგნით წარმოადგინოს; ვაჭრობა დაიწყება შუა დღისას 12 საათზედ და 2 საათზედ გათავდება. გამგეობის პირობა შეიძლება მსურველმა შეიტყოს თვით გამგეობაში ყოველდღე დილის 9 საათიდამ ნაშუადღევის 1 საათამდე.

(3—3)

ვინც ნივთების შემოწირვას ისურვებს „წერა-კითხვის საზოგადოების“ ლატერია-ალეგრისათვის,

ეთხოვთ კეთილ-ინებოს და გამოგზავნოს შემოწირულება კნეინა ოლღა თადეოზის ასულის ჭავჭავაძეს სახელობაზე (კუკიაში, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლს პირდაპირ თ. გრუზინსკისეულს სახლებში).

განცხადება

ქართველთა ამხანაგობა წიგნების გამოცემისა.

(იხილე მე-4 გვერდზედ)

ტფილისი, 27 აპრილი

ვინ არ იცის, რომ რუსეთში მრეწველობას, კაპიტალზედ აშენებულს წეს-წყობილებას, ჯერჯერობით ფეხი არ მოუკიდნია და თითქოს ნიადაგსაც ვერა პოულობს. რუსეთში ბევრს შეხვდებით კიდეც, რომელნიც სულით და გულით ნატრობენ, რომ ამ გვარმა წეს-წყობილებამ ფეხი ვერ მოიკიდოს და მხოლოდ ხვნა-თესვამ და საშინაო მრეწველობამ—ხელ-საქმემ გაიდგას ფესვები ხალხში. რამდენად საფუძვლიანია ეს უკანასკნელი მოსაზრება, აქ ალაგი არ არის მისი გარჩევისა და დღეს არც მაგ საგანზედ გვსურს ჩამოვაგდოთ საუბარი. მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ მხოლოდ იმ გარემოებას, რომ რუსეთის ერის უმთავრესი წყარო ცხოვრებისა არის ხვნა-თესვა. პურის მოსავალში ვერც ერთი სახელმწიფო ვერ შეედრება რუსეთს, ამერიკას გარდა. მთელის ევროპის პურის ბაზარი რუსეთს უჭირავს ხელში და თვით ამერიკისათვისაც-კი ძნელია ჯიბრი რუსეთთან, რადგან შორს არის და იმ სიშორიდან პურის მოტანა ძვირად ჯდება

რაკი ასეა საქმე, ურიგო და უმნიშვნელო არ იქნება მკითხველისათვის, მოკლედ ვუამბოთ, რა გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდება ხოლმე რუსეთის ერი მოუსავლიანობისა და შიმშილობის დროს და რა ღონის-ძიებას იღებს მთავრობა მის ასაცილებლად. ამ საგანზე საუბარი მით უფრო მეტი არ არის ეხლა, რომ გარს მოგვადგა საშინელი მტერი, რომელსაც შეუძლიან უცფად დაგვსხას ხელ-ცარიელი მოსავლისაგან და სასოწარკვეთილებაში ჩაგვაგდოს. ეს მტერი გახლავს კალია. თავის დროზე ჩვენს გაზეთში იყო მოხსენებული, რომ კალია მოედო სიღნაღისა, ბორჩალოსა და ტფილისის მაზრებს. ეხლა აქ თითქმის 39,000 კაცი მუშაობს კალიის გასაწყვეტად. არ ვიცით, გახდება რასმეს თუ არა მცირე ღონით მეჭურვილი ადმინისტრაცია კალიასთან ბრძოლაში, უკეთუ უფრო საფუძვლიანად არ დაეხმარა ხალხს უძლიერესი მთავრობა*).

1833 და 1834 წელს რუსეთში საშინელი შიმშილობა ჩამოვარდა. პურის ნასახიც არსად იყო ოც-დაცამეტ გუბერნიაში. ხალხი ისე შეწუხდა, რომ ბუზივით იჟლიტებოდა. ასე გასინჯეთ, ბალახსაც-კი ვერსად შოულობდნენ. საქონელიც თითქმის სულ მთლად გაიჟლიტა, რადგან საკვები აღარ იყო. ბაღები და ეკლესიებიც-კი სულ მთლად ამოახმო მზემ და გოლვამ. შიმშილს მოჰყვა სხვა-და-სხვა გადამდები სენი და შეუბრალებლივ მუსრს ავლებდა ხალხსაც და საქონელსაც. როდესაც ეს სამწუხარო ამბავი მოახსენეს იმპერატორ ნიკოლოოზს პირველს, შეშფოთებულმა ხალხის ამ გვარის მდგომარეობით, ბრძანა: რაც უნდა მოხდეს, უსათუოდ უნდა ემკვლოს რამე უბედურებასო („помочь бѣдствію во что бы то ни стало!“).

მართლაც, დიდად შეეცადა მთავრობა, შეემცირებინა ხალხისთვის ღვთისგან მოვლენილი უბედურება. მარტო ხაზინამ გადასდო ამ საგნისთვის 29,768,212 მ. 84 კაპ. იმპერატორმა თითონ გაგზავნა საგანგებო კაცნი, რომელთაც დაავალა დაერიგებინათ ფული გაჭირვებულებისთვის. ამას გარდა სხვა ღონის-ძიებაც ბევრი იქმნა მიღებული. ჯარები გაიყვანეს იმ გუბერნიებიდამ, სადაც შიმშილი მძვინვარებდა, გაჩინეს სამუშაობები, სახელმწიფო ხარჯის და „ნედოიმკის“ აღება შეაჩერეს, უბაჟოდ შემოჰქონდათ ყველა საქონელი ყირიმის და ოდესის ნავთ-საყუდლებში. მონასტრებს ებძანათ, დახმარებოდნენ გაჭირვებულ ხალხს. ბერები, მონოზნები უსასყიდლოდ ურიგებდნენ ხალხს გამომცხვარს პურს. თვით მთავრობამ იყიდა საზღვარგარედ 7 მილიონამდე ფუთი პური და უსარგებლოდ აძლევდა სესხად ხალხს. მაგრამ უგზო-უკვლობამ გააჭირა საქმე. დროზე პუ-

*) ვგონებთ, სათემო თანხიდან ტფილისის გუბერნატორს მიეცა მხოლოდ 7,000 მ. კალიასთან საბრძოლველად.

## ფელეტონი

დაუსრულებელი ამბავი

ანუ

თელაველი ოტელლო.

დრამა ოთხს მოქმედებად

(შემდეგი*)

მეორე მოქმედება

(თალალას სახლში)

(სცენა წარმოადგენს ოთახს უხრალოთ მორთულს. პირდაპირ, მარჯვნივ და მარცხნივ კარები; შუა კარიდამ მოყოლებული მარცხენა კედლამდისინ ტახტი, ვიწრო ნალიით დაგებული; პირდაპირ ორი და მარჯვნივ ერთი ფანჯარა; უკანასკნელ ფანჯრის წინ სტოლი, სუფრა გადაფარებული; აქვე დგას სამიოდე ჩიხოლებიანი სკამი; მარცხენა კარებთან დგას სკივრი თეთრ ზეწარ გადაფარებული)

გამოსვლა I

თალალა, სოფო, ორიორთა და სოლომანა

(ლოტოსა თამაშობენ; თალალა და სოფო ტახტზედა სხედან; თალალა ქართულადა ზის. სოლომანა და ორიორთა სტოლთან)

თალალა (პარკი უჭირავს და ლოტოს იღებს). პეტნაცეტ! (თავის თავად) პეტნაცეტ, პეტნაცეტ, ოთხიანი!

სოფო. პეტნაცეთ?—ტროიკა!

სოლომანა. მე სამი ოთხიანი მყავს. ნეტავი ვინ მაიგებს? თქვენ, სოფო, რეერთი გყავთ?

სოფო. მე ჯერ არა მყავს ოთხიანი.

ორიორთა. ერთი ოთხიანი მყავს და სამი ტროიკა! აბა ამაილეთ!

თალალა (ამოიღებს) დევენოსტობებერი! (საჩქაროდ კმენს) არა მყავს! არც თქვენა?

სოლომანა. ნეტავი ვინ მაიგებს?

თალალა. (ამოიღებს) შესდესეტ დევეტ ყირამალა! ჩემია! ბასტა.

სოლომანა. ერთი კიდევ რო გეთქვათ, უეჭველად ჩემი იქნებოდა, ეხლა ოთხი ოთხიანი მყავს!

სოფო. უილბლო ყოფილხართ! დედამ სამჯერ ზედი-ზედ მაიგო! დედი, მოგებული ფულით კაბა უნდა მიყიდო.

თალალა. (ხუმრობით) მაშ, ქალო, ფარჩა გინდა თუ ატლასი?

სოფო. ვანოს რო ცის ფერი ფარჩა აქვს, იმისი.

თალალა. ჰო, აი ორშაბათს წავიდეთ და ამოვარჩიოთ.

სოფო. ნუ-კი ხუმრობ!

თალალა. ხუმრობა საიდუმლოა! აკრიფე, ქალო, სტუმრებს მოსწყინდათ (სოფო აჰკრეფავს და სტოლზედ დააწყობს).

ორიორთა. მართლა, რა ცუდი ხმები დადის ვანოსა და ნუშოზე! ქა, მერე გაგონილა ასე ნათესაობის გცოდნა?

სოფო. ტყუილია, ქალო, ჭორია, თელაველების ლაპარაკს როგორ უჯერებთ?

ორიორთა. რასა ბრძანებ, ქალო, ბოლი უცეცხლოდ იქნება? მერე ამბობენ, ბიძაშვილი ჰყვარობსო! ძალიან უსვინდისოს ამბობენ; ხედამ, ქვეყანა ალიავლავებულია, ქმარი კინაღამ ჰკვიდამ შემცდარა, ტყე-ტყე დარბის, ისკი ისევ ნუშოსთან არის! დედას რო არ დაეთხოვნა, არც-კი წავიდოდა.

სოლომანა. ყოჩაღ ბიჭო! ჰკვიანი ბიჭი იქნება, იცის, საცა კრუხი ბუდობს! ბულვარში სულ არტემას ქებაში არიან; ყოჩაღი ბიჭია, ქალის გემო სცოდნია, თუმცა სირაჯია.

სოფო. გთხოვთ, მაგ ნაირათ ნუ ლაპარაკობთ ნუშოზე! რასაც ამბობენ, სულ ჭორებია, მაგათთანა პატიოსანი ხალხი მთელ თელავში არ არი. სხვამ რო თქვას, სოლომან, თქვენ კი არ შეგშვენის.

სოლომანა (დაცინვით) მითომ რა ვთქვი ისეთი? ქალ-ვაჟს ერთმანეთი შეუყვარდათ; აქ დასაძრახისი რა არი?

სოფო. კიდევაცა გთხოვთ, მაგრე ნუ ლაპარაკობთ ნუშოზე! ნუშო მაშოს როდი ჰგავს და...

ორიორთა. ქალო, ეხლანდელ დროში ნურავისი ნუ გეწამება. ჯერ გათხოვილი არ იყო, რო ქვეყანა იყო და ნუშო; ნუშომ მაიდნო მამა.

სოფო (წამოხტება). ტყუილია, ტყუილი! (დედას) რატო ხმას არ ამაიღებ? ხედამ, რეებს ამბობენ ნუშოზე?

თალალა. ნუ ჯავრობ, შვილო, არც მე მჯერა და არც მაგათ: ესენი იმასა ბრძანებენ, რასაც ქვეყანა.

ორიორთა (წყენით) უკაცრაოთ, ქალო, რო ასე გაწყენინეთ; მაგრამ მე არას დროს ფიქრადაც არ მამივიდოდა, რომ თქვენ იმ ქვეყნის შემოცხვენ ნუშოს სარჩლობას დაუწყებდით. ჩემ ხელში ოთხი წელიწადი გისწავლია, და არ მეგონა, თუ ამისთანა გამოდგებოდი; ქვეყანა რას იტყვის?

სოფო. ტყუილია, ტყუილია! საწყალი ნუშო! (ტირილით გადის მარცხნივ)

სოლომანა (ესა და ორიორთა ერთმანეთს გადახედავენ). თქვენმა ქალმა ძალიან იწყინა და ჩვენც ძალიან გვაწყენინა.

თალალა (აშფოთებული წამოდგება). აპატიეთ, თქვენი ჭირიმეთ; სოფოს ნუშო ჩემ თავს ურჩევნია! ცოტა მაითმინეთ, წავალ მივხედამ, იქ არა დაემართოს-რა! (საჩქაროდ გადის)

გამოსვლა II

სოლომანა, ორიორთა

ორიორთა. ხედამ, რა ლირფი რამ არი! ნახამ თუ ეგეც ნუშოს კვალს არ მიჰყვეს! მერე როგორ ყვირის და პირში გვებმება!

სოლომანა. ჰო, ძალიან-და! ჩვენ რო მაგათ თავი გაუყადრეთ და მოველით, რასაკვირველია, გვაკადრებენ, იტყვიან, მითომ ვინ არიანო? არა, ნულარ გავიწაწანებთ აქა!

ორიორთა. ღმერთმა დამიფარო! მერე თელავს აუვალ? მერე რა კადნიერებით გვეუბნება, ტყუილიაო! ჩემი უჩენიცისაგან სწორეთ პირველია ამისთანა ამბავი!

სოლომანა. შევაჩვიეთ თავი, არ ვარგა მაგრე დაახლოვება მაგისთანა ხალხთან. წავიდეთ, ნურც გამოვეთხოვებით! (ადგება).

ორიორთა. არა, ყმაწვილო; მერე თელავი რას იტყვის, სტუმრათ

*) იხ. „ივერია“ № 86, 87 და 88.

რი ვერ მიდიოდა დანიშნულ ალაგას. თუ ეხლა არ არის რუსეთში ხეირიანი გზები, უეჭველია, მაშინ სულ უვარგისნი იქნებოდნენ.

ამავე დროს ჩვენშიაც ყოფილა შიმშილი; სამწუხაროდ, საკმარისი ცნობები არ არის მოყვანილი, თუ რა ზომამდის მიაღწია მაშინ შიმშილმა.

ახალის რუსეთის გენერალ-გუბერნატორად იყო მაშინ დიდად ცნობილი ჩვენში გრაფი მიხეილ სვიმონის ძე ვარონცოვი (შემდეგში თავადი). დიდი გამჭრიახობა, დიდი ბჭნეობა გამოიჩინა გრაფმა ამ უბედურების დროს და შესამჩნევად შეუმსუბუქა დაზარალებულს ხალხს მწარე ბედი. ასე გასინჯეთ, საქართველოშიც-კი გამოჰგზავნა რამდენიმე ხომალდი, პურით დატვირთული, ოდესის ნავთ-საყუდლიდამ (ვარანცოვი კარგად იცნობდა ჩვენს ქვეყანას. ოც-და-ორის წლისა ძლივს იყო, როცა თავად პავლე დიმიტრის ძეს ციციშვილს ახლდა ადიუტანტად).

დიდი ზარალი მისცა ხალხსაცა და მთავრობასაც 1833 წლის შიმშილობამ: თითქმის ას მილიონ მანათს გადააჭარბა ამ ზარალმა. დღესაც ათი წელიწადი ისე არ გავა რუსეთში, რომ რომელსამე კუთხეს მოუსავლობა არ ეწვიოს. მერე ერთი და ორი გუბერნია-კი არ დაზარალდება, არა, ხუთს, ათს და ზოგჯერ მეტსაც მოედება ხოლმე. ამის მიზეზი, რასაკვირველია, რუსეთის ბუნება და ჰავის ერთ ფეროზა და ერთ-გვარობაა. მამულები სულ ურწყავია, ყველგან თითქმის: თუ გოლვა დადგა, მთლად ერთს უშველებელს ნაწილს იმპერიისას მოედება. რუსეთში იყო კიდევ, მაგრამ მცირედ, შიმშილი 1844, 1848, 1853 და 1860 წლებში. ამ გვარმა ხალხის უბედურებამ დააფიქრა მთავრობა და რამდენიმე სხვა-და-სხვა ღონისძიებანი მოიგონა ასეთის უბედურების ასაცილებლად შემდეგში...

ა. ფრონელი

# ახალი ამბავი

*** ხუთშაბათს, ამ თთვის 26, მისი უმაღლესობა იტალიის მემკვიდრე პრინცი ვიქტორ-ემანუილი, სადილს შემდეგ, გუბერნატორის სახლიდგან სასახლეში წაბძანდა და რამდენსამე ხანს მისი უმაღლესობა „კრუჟოკში“ წავიდა ამალითურთ; ყველანი ფრაკებით იყვნენ. კრუჟოკში ფრანგების საოპერეტო დასმა წარმოადგინა „ჩინეთის მოგზაურობა“, რომლის პირველ მოქმედებაზედაც ბძანდებოდა პრინცი ნეაპოლიტანელი. შემდეგ მისმა უმაღლესობამ დაათვალიერა კრუჟოკის ოთახები და წიგნთ-საცავი და სასახლეშივე დაბრუნდა.

გუშინ პარასკევს, მისი უმაღლესობა სასახლიდგან გამობძანდა დილის ცხრა საათზე. პრინცს იტალიის ჯარის სადღესასწაულო მუნდირი ეცვა და თან ახლდა თავის ამალა, კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწე გენერალ-ადიუტანტი შერემეტიევი და სხვა გენერლობა. სასახლიდგან მისი უმაღლესობა პირდაპირ „დიდების ტაძარში“ (სამხედრო საისტორიკოსო მუზეუმში) მიბძანდა, სადაც ერთ საათამდე დარჩა და დაწვრილებით გამოჰკითხა გენერალს შერემეტიევს სულ-ყველა სურათის ა... და გვარი ზოგიერთის გენერლისა, რომელთა სურათებიც აქ არის ჩამოკიდული. აქედგან მისი უმაღლესობა ეტლით შერემეტიევითურთ გაემგზავრა დიდუბის მინდორზე. ეტლს უკან მისდევდნენ მთავარ-მართებლის ყაზახები. აქ პრინცს უკვე მოელოდნენ გენერლობა და ჯარი: ერთი ბატალიონი დილიჯნის რეზერვის პოლკისა და ერთი მსროლელთა ბატალიონი. აქვე მის უმაღლესობასა და ამალას მიართვეს ცხენები. შემდეგ დაათვალიერეს ჯარი. ჯარს მეთაურობდა გენერალ სავიცკი. ნახევარ საათის ჯარის თამაშობის შემდეგ მის უმაღლესობის წინ გაიარა ჯარმა ცერემონიალურის მარშით და აქვე პრინცმა აქო ჩვენი ახლად გაყვანილნილნი ჯარის კაცნი. შემდეგ მისი უმაღლესობა ეტლით წაბძანდა მუშტაიდში და გასინჯა ორივე აბრეშუმის ჭიის გასაშენებელი სადგურები და ბაღი. მერე სწორედ შუადღისას ეტლითვე წამობძანდა სასახლეში. სასახლეში ამ დროს დამზადებული იყო საუზმე. საუზმის გათავებისას პრინცმა ჩაიცვა სამოქალაქო წოდების ტანისამოსი და სამის ნახევარზე წაბძანდა შუა-ბაზარში, სადაც კაფაროვის მაღაზიაში იყიდა რამდენიმე ხალიჩა და სხვა აზიაში ნაკეთები ნივთეულობა. გზაზე ხალხს მისი უმაღლესობა ქუდს უხდიდა. საღამოს ექვს საათზე პრინცი მიწვეული იყო სადილად ორთაჭალაში ბ. ნ. თამამშოვის მიერ. როგორც სჩანს, მის უმაღლესობას ძალიან მოეწონა ჩვენი ტფილისი: იგი დღეს უნდა წაბძანებულიყო კავკავში, მაგრამ კიდევ ერთის დღით ტფილისში დარჩენა ინება და მხოლოდ ხვალ, კვირას, 29 აპრილს, დილის თერთმეტს საათზე, გაემგზავრება გრაფ დე-პოლენცის სახლით კავკავსა და ნოვოროსიისკს, აქედგან შავის ზღვით მისი უმაღლესობა წაბძანდება ოდესას და მერე-კი მოგზაურობას დაიწყობს ოფიციალურად იტალიის ტახტის მემკვიდრე პრინცის სახელით.

*** როგორც შევიტყვეთ, ტფილისის თავად-აზნაურთა საგანგებო კრებამ, რომელიც დაიბარებულია 11 მაისს და არა 3 მაისს, როგორც გუშინ შეცდომით იყო ჩვენს გაზეთში ნათქვამი, უნდა ამოირჩიოს ორი წარმომადგენელი თავად-აზნაურობისა სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკის განყოფილებისათვის. ეს ორი წარმომადგენელი სამ-სამის წლით უნდა იქმნენ არჩეულნი და ჯამაგირადაც არა მიეცემათ-რა. თუ თითონ ისურვეს, შეუძლიანთ იტვირთონ, ზოგიერთს შემთხვევაში რომლისამე მამულის დაფასება. ფინანსთა მინისტრი ყოველ წელიწადს ამ სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკის ყველა განყოფილების წარმომადგენელთაგან ოთხს კაცს ირჩევს, რომელთაც მონაწილეობა უნდა მიიღონ ს.-პეტერბურგის ბანკის საბჭოში სხვა-და-სხვა საგნის გამოსარკვევად. ამორჩეულს წევრს ამ საქმისათვის პეტერბურგში ყოფნის დროს ჯეროვანი ჯამაგირი ეძლევა.

*** დღეს, 28 აპრილს, საღამოს 8 საათზე, დანიშნულია საზოგადო კრება კავკასიის სატეხნიკო საზოგადოების წევრთა. სამეურნეო საზოგადოების სადგომში. არა-წევრთაც შეუძლიანთ დაესწრნენ. ვ. ი. ვარაპაევი ამ კრებაზე წაიკითხავს თავის მოხსენებას: «აღწერა სხვა-და-სხვა მოძრაობათა ბუნებაში».

*** პირველ მაისისათვის დანიშნული იყო ვადა, როცა ახალ, მესამე მომგებიან ბილეთებზე ხელის მომწერთ უნდა შეეტანათ ხვედრი მესამე წილი ბილეთის ფასისა სახელმწიფო ბანკში. ეს ვადა მერე გადაიდო 3, 4 და 5 მაისისათვის. ამას გარდა, რადგან მაისში შესატანი ფული ბევრია, სახელდობრ 55 მან. (პირველად და მეორედ-კი ორმოც-ორმოცი მანეთი იქმნა შეტანილი), ამიტომ ბევრმა ითხოვა, რომ შეუმსუბუქდეთ ამ ფულის შეტანა მაისში. მთავრობამ შეიწყნარა თხოვნა და შეღავათი მისცა ფულის შემტანთ მით, რომ შეუძლიანთ თავისი მოწმობა ბილეთის მიღებისა, უკვე ორჯელ წილ-ხდომილ ფულის შეტანით გამოსყიდული, დააგირაონ იქვე ბანკში და მესამე ხვედრი წილიც შეიტანონ ამ მაისის დამდეგს.

*** შემდეგი საერთა-შორისო კრება ორიენტალისტებისა, ანუ აღმოსავლეთის ერთა ენების მცოდნეთა, დანიშნულია ლონდონში სამერმისოდ, 1891 წელს, სეკტემბერში. კრების საპატიო თავმჯდომარედ იქნება გენრი რაულინსონი, ხოლო ნამდვილ თავმჯდომარედ გრანტ დოფფი, რომელიც 1874 წელს ლონდონის კონგრესზე თავმჯდომარეობდა თურანულ ენათა განყოფილებაში.

*** ჩვენ მოგვივიდა ცალკე წიგნად დაბეჭდილი ისტორიული გამოკვლევა ხახანაშვილისა: „ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის“. ეს გამოკვლევა, როგორც უნდა ახსოვდეთ ჩვენს მკითხველებს, შარშან ხაფხულს დავბეჭდეთ ფელ[ეტონებად] გაზ. „ივერიაში“. წიგნს ჩა[...] თული აქვს დამატებად მცირე წერ[ი]ლი: მე-XVII და მე-XVIII საუკუნ[ის] ფულის შედარება ჩვენის დროის ფულ[...]თან. წიგნში სულ 130 გვერდია [...] ღირს ათი შაური.

*** ანჩისხატის ეკკლესიის მახლო[...]ბლად, სადაც ბორანი მუშაობს, გა[...] მართავს ვიღაცას ლუდხანა, სად[...] დილიდამ საღამომდე განუწყვეტლ[...] უკრავენ არღანს. როცა ეკკლესია[ში] წირვა-ლოცვაა, ამ არღნის ხმა [...] მოდის, თითქო ეკკლესიაში უკრ[...]ვენო. საჭიროა, რომ ამ უწესოებ[ა]ს სასტიკი ყურადღება მიექცეს.

*** ქვედა-აჭარა: აგერ ერთი თთვე[ა] რაც ჩვენში წვეთი წვიმა არ ჩამ[...] ვარდნილა. მხოლოდ ამ თთვის 1[...] ლამაზი და ქუჟუნა წვიმა მოვიდა [...] ხალხი გავიდა სამუშაოდ მინდორშ[ი]. ახლა სიცხეებიც დაიწყო. საღამო[...] ბით-კი ისევ ცივა და ქარი ჰქრის.

*** ზაქათალა: 15 აპრილს, აქ[ა]ურის ადმინისტრაციის წარმომადგ[ენე]ლები და აქაური მცხოვრებლები შე[...] კრიბნენ ჩვენს სახელოსნო სასწავლ[ე]ბელში შეგირდების ხელ-საქმის სან[ა]ხავად. მოპატიჟებულნი იყვნენ აგრეთ[ვე] ექსპერტებიც. სხვა ხელ-საქმეთ[ა] შორის განსაკუთრებით საყურადღე[ბო] ბო იყო თავად მთავარ-მმართებლ[ის] მიერ შეკვეთილი ავეჯი, რომელი[ც] მ[შ]ვენიერად, ფრიად ხელოვნურად [და] სუფთად გაკეთებული იყო. ლურსმა[ნი], კლიტე და სხვა საჭირო რკინეუ[ლობა], რაც ავეჯს დასჭირდა, სხვა[...]გან-კი არსად უყიდნიათ, არამედ თვი[თ] სასწავლებლის საჩილინგდრო განყო[ფილებაში] მოამზადეს შეგირდებმა. ს[ა]ზოგადოება დიდად გაახარა ამ გარე[...]მოებამ. შარშან, როგორც ვიცით[...] ცუდი მოსავალი იყო. ამიტომ მთა[ვ]რობამ, ოლქის უფროსისა და მერ[...] თვით მთავარ-მმართებლის შუამდგომ[ლ]ობით, ოლქის მცხოვრებლებს ას[...]ხა 14,300 მან., რომელიც უსარგებ[...]ლოდ უნდა გადიხადონ 1891 წლ[...]დის. („ახ. მიმ.“)

სა[...] და მაიისშველს ატივი არა სცესო! გამოვიდნენ, მაშინ წავიდეთ.

გამოსვლა III

იგინივე და თალალა

თალალა. (შემოდის მარცხენა კარებიდამ) ნუ გაუწყრებით სოფოს, ცოტა გულფიცხია და ნუშოც ძალიან უყვარს.

ორიორთა. არა ბატონო ჩვენ როდის ვიწყინეთ!

სოლომონა. გთხოვთ ნუ სწუხდებით, საწყენი აქ რა იყო?

თალალა. ვიცი, ჩემი სოფო ძალიან გიყვართ, ჯერ კიდევ ბავშვია, ქვეყნიერობისა არა გაეგება-რა; აგე თითონაც მოდის?

გამოსვლა IV

იგინივე და სოფო

გამოდის და კედელთან ჩუმათ ტახტზე ჩამოჯდება.

ორიორთა. რა გაწყენინეთ ისეთი, რო ასე გაგვიწყერით?

თალალა. გენაცვალე, სოფო, ბოდიში მოიხადე.

სოლომანა. არა, ბატონო, რასა ბრძანებთ, საბოდიშო რა აქვს?

სოფო. მე არავისთან არა დამიშავებია-რა!

ორიორთა. (წყენით) რასაკვირველია! ჩვენა ვართ დამნაშავები! მე რო მცოდნოდა, რო ის ქალი თქვენ დედას გირჩევნოდათ, ხო ხმასაც არ ამოვიღებდით!

სოლომანა. ჭეშმარიტია! არც მე მეგონა, თუ ასეთი მეგობარი იქმნებოდი იმ ქალისა, თორემ ან მე როგორ ღმერთი გამიწყრებოდა და ვაწყენინებდი:

თალალა. დიდება თქვენ პატიოსნებას. გცტყობათ გაზდილობა და დიდ-კაცობა.

სოფო. მადლობა ღმერთს! უკაცრავად თქვენთან (ადგება). დედი, მე წავალ, ჩაის მოვამზადებ.

ორიორთა. არა, ქალო, ნუ მე სწუხდები, ჩვენ უნდა წავიდეთ. ჩაის მოცდა არ შეგვიძლიან.

თალალა. გთხოვთ ჩაი მიირთვათ, ისე მიბრძანდეთ, სამოვარი მზათ არი.

სოფო. ცოტა მაითმინეთ, ეხლავ გავაკეთებ ჩაის.

ორიორთა. სოლომან, აბა გასინჯეთ, რომელი საათია?

სოლომანა. ხუთია!

ორიორთა. მაშ მოვიცდით.

სოლომანა. შეიძლება, ჯერ კიდევ ადრეა.

სოფო. ეხლავ მზად იქნება (გადის).

გამოსვლა V

თალალა, ორიორთა, სოლომანა

თალალა. (თავის ალაგას დაჯდება) თქვენ პატივის ცემას როგორ გადავიხდი!

ორიორთა / სოლომანა } რასა ბრძანებთ, ბატონო, პატივისცემა რა სათქმელია? ჩვენა ვართ თქვენგან დავალებული.

თალალა. დიდ-კაცობისათვის ღმერთი უფრო დიდ-კაცობას მოგცემთ.

სოლომანა. გმადლობთ, გმადლობთ! (სიჩუმე).

ორიორთა. ამბობენ, ვანო გავარდნილა სახლიდამ და დღემდისაც არ იციან სად არისო: არტემაც სადღაც გამქრალა; თურმე კეკამ არა იცოდარა; როცა გაიგო, არტემა სახლიდგან დაითხოვა; ვითომ ვანომ არ იცის, ვინ არის იმის ცოლის მოარშიყეო, არც არავისა ჰკითხავს, გიჟივით არიო.

თალალა. რასა ბძანებთ? არა მგონია, ვანო სადმე წასულიყოს. იმ დღეს იქ ვიყავით მე და სოფო, ცოლ ქმარს არა უჭირდათ-რა! მერე ვანო დაიჯერებს, რაც უნდა თქონ ნუშოზე? მოკლამს და არავის არას ათქმევინებს! გახსოვს, იმ დღეს მწვანე იაგორა როგორ განგებით გადურჩა სიკვდილს?

სოლომანა. მე გავიგე, რო იმ კინტოას ეცემნა იაგოსათვის: იმას საჩივარი მაუტანია, უშტრაფოთ არ გადარჩებაო:

ორიორთა. ჰო, მართლა, არტემას რა ხელი ჰქონდა, რო სხვის ცოლს ეარშიყებოდა? ბიძაშვილი იყოს, თუნდა და; ქალი გათხოვილია, ქმარი ჰყავს, ბატონი და პატრონი.

თალალა. შვილო, არტემას ვანო ძმასავით უყვარს, მერე ერთ ჰერ-ქვეშაც არიან, მაშ არტემა შააჩრენდა? არტემა დაუთხოვნიათ სახლიდანაო! ერთი უნდა გადავიარო, ვნახო, ვინ იცის, რა გაჭირებაში არიან; სოფოც სულ იმას მეუბნება, ვინ იცის, რა ამბავია იმათ თავსაო?

ორიორთა. არა, სოფოს-კი ნუ წაიყვანთ, თქვენ თუ გნებავთ, წაბძანდით, იმიტომ რო ახალგაზდაა, სახელი გაუტყდება.

გამოსვლა VI

იგინივე და სოფო.

სოფო. (გამოვარდება) არა, არა დედი, დღესვე წავიდეთ, საღამოზე, ეხლავე! საწყალი ნუშო მარტო იქნება, ვინ შევა ეხლა იმათთას? ვანოც შინ არ არიო! შენი ჭირიმე, დედი, ჩაი რო დაელიოთ, წავიდეთ!

თალალა. არა, ეხლა გვიანლაა, საცაა შაბინდდება. დილაზე წავიდეთ[...]

სოფო. დედი, ვინ იცის, რა გ[ა]ჭირებაში არიან! ვანოც შინ არ არი[ო], არც არტემაო!

ორიორთა. არა, ქალო, შენი წა[...]სვლა იქ როგორ შეიძლება? ქვეყან[ა] ყბად აგიღებს, არ იცი თელაველებ[ის] ამბავი?

სოფო. რაც უნდა მამივიდეს, წა[...]ვალ, თუნდ დედაც არ გამამყვეს. ვ[ა]ნო სახლიდამ გავარდაო, არტემაცო[!] საწყალი ნუშო ხო ჭკვიდამ შესცდ[ა]! არა, დედი, მე ეხლავ მივდივარ, [...] შემიძლიან! წავალ, ჩავიცვამ, ჩაის ე[ხ]ლავე მოგართმევთ! (გადის. სიჩუმე. ორიორთა და სოლომანა ერთმანეთ[ს] გაკვირვებას ანიშნებენ).

გამოსვლა VII

თალალა, ორიორთა, სოლომანა.

ორიორთა. (დაინახავს ფანჯარაში მომავალ კეკასა და ნუშოს, უცებ წამო[...] იწევს) აი, მოდიან? სოლომან, დრო გვაქვს წასვლისა!

სოლომანა. (ესეც დაინახავს) წა[...]ვიდეთ, წავიდეთ!

თალალა. (დაინახავს). სოფო, სო[...]ფო?

ორიორთა. უკაცრაოდ, ბატონო, ჩვენ დაგვიგვიანდება, უნდა წავიდეთ[!]

ეროვნული ბიბლიოთეკა

** იგივე გაზეთი ამბობს: ჩვენ გვატყობინებენ პარიჟიდგან, რომ აქაური საერო სამეურნეო, სამრეწველო და სავაჭრო აკადემიის კრებას ბ-ნმა ტიებომ, პრინც-ოლდენბურგელის შამპანურ ღვინოების მკეთებელმა ქუთაისში, რეფერატი წაუკითხა, თუ რა სამრეწველო და სავაჭრო მნიშვნელობა აქვს კავკასიასაო. ბ-ნმა ტიებომ იმ აზრით წაიკითხა ეს რეფერატი, რომ უფრო მჭიდრო და პირდაპირი სავაჭრო და სამრეწველო დამოკიდებულება დაარსდეს საფრანგეთსა და კავკასიას შორისო.

** სპარსეთში გაგზავნილია რუსეთის ელჩი, რათა მოელაპარაკოს იქაურს მთავრობას ხელ-ახალის სავაჭრო პირობის შეკვრისათვის. 1828 წელს შეკრულ პირობის ძალით სპარსეთიდამ რუსეთში შემოსულს ყოველს ას მანათად ღირებულ საქონელზე ხუთ მანათს ბაჟს აძლევდნენ. მაგრამ ეს ხელ-შეკრულობა სპარსელებზე უფრო ინგლისელმა მრეწველებმა გამოიყენეს და თავიანთი, ინგლისში გაკეთებული საქონელი, ცბიერობით შემოგვაპარეს; ამის გულისათვის თავიანთ საქონელზე სპარსულ სურათებს დახატავენ ხოლმე. ამის გამო რუსეთის მთავრობამ საჭიროდ სცნა, ძირიანად შეიცვალოს რუსეთსა და სპარსეთს შორის უკვე დამყარებული სავაჭრო ხელ-შეკრულობა. („Нов. Вр.“)

** ამ თვის 27, ნაშუადღევის 4 საათზე პოლიციის მეცხრე ნაწილში კათოლიკების ქუჩაში იპოვნეს ხუთის დღის დაბადებული ბავშვი. ბავშვი საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

შეცდომის გასწორება: გუშინდელ ნომრის მეორე ახალ ამბის ბოლოს ასოთ-ამწყობთა უყურადღებობის გამო დაბეჭდილია: „ბ-ნ ტფილისის გუბერნატორ თავ. გ. დ. შერემეტიევთან“. უნდა იყოს: ბ-ნ ტფილისის გუბერნატორ თავ. გ. დ. შერვაშიძესთან.

## მიცვალებულის დატირება და დასაფლავება სვანეთში

სვანური ტირილი ბევრად განსხვავდება დანარჩენ ქართველ ხალხის ტირილისაგან. სვანი რომ გარდაიცვლება, იმის მიცვალების ამბავი სწრაფად მოეფინება გარეშემო მდებარე სოფლებს. ჭირისუფლები თავის მიცვალებულს სულის დალევის შემდეგ დაიტირებენ-რა, მერე გაჩუმდებიან და კუბოში ჩასვენებულ მიცვალებულს მისდგმენ კუთხეში და შეუდგებიან სამზადისს. გამოაცხობენ მრავალს პურს, გამოხდიან ბლომა არაყს. რაც უნდა ღარიბი გლეხი იყვეს, გარდა სხვა ხორაგისა, მარტო არაყი დასჭირდება ტირილის დროს ოთხის თუმნისა და ცოტა შეძლებულს-კი ხუთ-ექვს თუმნისაც მოუნდება. ამ მზადებაში სამი დღე გასტანს. მესამე დღეს-კი საერო ტირილი იმართება.

შეიყრება ქალი და კაცი, როგორც მიცვალებულის სოფლიდგან, ისე ახლო სოფლებიდგანაც. ხალხის შეყრამდის ჭირისუფალნი სახლს ასუფთავებენ, ცეცხლს სრულიად დააქრობენ, ნაცრიანად მოსწმენდავენ და გარედ გაიტანენ. შუაგულს სახლში კუბოსა სდგმენ, ფიცრით თავ-დახურულს. კუბოს სიგრძეზედ ჩითს გადააფარებენ და მორთავენ: მიცვალებულის ყველა ტან-საცმელს კუბოზედ დაალაგებენ, ხოლო ისე-კი, რომ თითქო ცოცხალი კაცი ასვენია შემოსილიო; თვით ქამარ-ხანჯალსაც ტანისამოსს შემოარტყმენ, თუთუნით სავსე სათუთუნეს ჩიბუხ-კვეს-აბედიანად ჩამოჰკიდებენ. კუბოსთან რკინის ჯოხი ანუ „მუჯურა“ ასვია და იმის ქიმანჩაზედ თოფი ჰკიდია. ქალსაც ამ რიგადვე მორთავენ ხოლმე ყველა სამკაულებითა, დიოფალსავებრ. კუბოზე დასდგმენ ჯამით ვერცხლის და ქაღალდის ფულსა. თუ მიცვალებულს სიკვდილის დღისათვის ახალი ტანისამოსი არა აქვს, ჭირისუფალნი მეზობლისაგან ითხოვენ და მითი მორთავენ კუბოსა. სვანებს სწამთ, რომ თუ მიცვალების ჟამს მკვდარს კუბო შემოსილ-შეკაზმული არა აქვს, იგი საიქიოსაც შიშველი იქნებაო. ამას გარდა კუბოსთან ჯოხია დარჭობილი და იმაზედ კვარია ანთებული.

ხალხი რომ შეიკრიბება, მაშინ კუბოს ერთის მხრით დაუსხდებიან ჭირისუფალი ქალები, თმა გაშლილნი, და პირველად ესენი ასტეხენ ტირილსა. ამათ შემდეგ ტირილი ხვდება გარეშე მოტირალ კაცებს. ესენი თითო-თითო არ ტირიან, არამედ კუბოს მიყოლება დაემწკრივებიან რაზმად იმდენი კაცი, რამდენსაც სახლი დაიტევს ერთს წრეზე. წრის თავში მდგომი, ხანში შესული კაცი, ორსავე ხელებს თავში შემოსაკრავად ამართავს და ხმა მაღლა ტირილით წარმოსთქვამს: ი-ი ი! ო-ი-მ-ი-ა! ვ ა-ა!“ ამ ხმებს იმეორებენ მასთან დამწკრივებულნი და თავში ხელს შემოიკვრენ. მეორეჯერაც ამავე ხმებს იმეორებენ. მესამეჯერ-კი: „ი-ი-ი! ვ-ა-ი! მოი-შ-კვ-ა, ლ-ი-რ-დ-ე-ხ, ვ-ა-ა!“ (ვაი ჩემს სიცოცხლესაო). ამ დროს სახლის უფროსი კაცი გადმოვა მეორე მხრიდგან. მას მოჰყვებიან დანაშთენი უმცროსნი ჭირისუფალნი. ჯერ კუბოსკენ წავლენ მოთქმითა და თავში ხელების ცემითა; მერე პირს იბრუნებენ და რაზმად დამწკრივებულის კაცებისაკენ გაემართებიან ტირილითა. მიუახლოვდებიან-რა, დაჩუმდებიან და იმათ წინ წამოწვებიან მიწაზედ, ცალის ხელით მიწას დაებჯინებიან და ცალს ხელს თავში ირტყამენ და მიცვალებულზე რასმე შესახამს მოსთქვამენ. თითეულს იმათს შესხმაზედ ეს დარაზმული მოტირალე ხალხი პასუხს უგებს „ი-ი-ი. ოიმიათი“. მესამე მოთქმაზე ეს მოტირალი რაზმი იჩოქებს. ამ დროს ჭირისუფალ-მოტირალნი წამოდგებიან, პირს ისევ კუბოსკენ იზმენ და წავლენ ტირილითა და თავში ცემითა. მივლენ თუ არა კუბოსთან, გაჩუმდებიან და თავის პირველ ნადგომ ალაგზედ გადავლენ და შედგებიან. ახლა ჭირისუფალი ქალები წამოდგებიან და დიასახლისის წინ-წამძღოლით ჩამოუვლიან დარაზმულ კაცების მწკრივს მოთქმითა და ტირილითა. ამათ გული გახსნილი აქვსთ და ტიტველა გულში მჯიღს ირტყამენ. შემდეგ ისევ მობრუნდებიან, მივლენ და კუბოსთან ჩამოსხდებიან, ამ გვარად მოიტირებენ მიცვალებულს დანაშთენნი კაცნი და ქალნიც. გარეშე ქალნიც, მგზავსად კაცებისა, ზეზე რაზმად დაემწკრივებიან. უფროსი ქალი იწყებს მოთქმით ტირილს და სხვები უფროსის სიტყვებს ხმას აყოლებენ ქვითინითა და თანაც პირში ხელს შემოიკვრენ ხოლმე. როცა ყველა გარეშე კაცი და ქალი მიცვალებულს დაიტირებს, შემდეგ ჭირისუფალი ქალი და კაცი შემოეხვევა კუბოს ირგვლივ და თითოეული მათგანი მოთქმით და თავში ცემით დასტირის მიცვალებულს. მერე გარეშე ხალხი იმათ დააჩუმებს და მღვდელიც წესს აუგებს. შემდეგ ტანისამოსს კუბოს გადააცლიან. იმ ჯოხს, რომელზედაც კვარასი (კვარი) ენთო, მოაძრობენ და მის ნასობ მიწაში ერთი დედაკაცი ნემსს ჩაავდებს და ფეხით მიაჯექს. კუბოს, ვინემ გარეთ გაიტანენ, ჯერ სახლის კარების ზღურბლს შემოჰკვრენ და თანაც ამ სიტყვებს დააყოლებენ: „ხოჩა ქიშხ ჯიცვირა.“ (კაი ფეხიც დაგიტევებიაო).

როგორც-კი კუბოს გარეთ გაასვენებენ, კარებში ვინმე კაცის ნატეხით (ნატეხარი) ცეცხლ მოკიდებულ ქანქალს დაახვედრებს. კუბოს გააცილებენ თუ არა, ქანქალის მპარავი შინ შერბის და კერაში ცეცხლს აჩაღებს.

კუბოს მისდევს რამდენიმე ქალი და კაცი, თავ-მოხდილი, მოთქმითა და ტირილითა. როგორც-კი სასაფლაოს მიუახლოვდებიან, ჭირისუფლის რამდენიმე ქალი კუბოს და ხალხს წინ წაურბენენ. მივლენ თუ არა საფლავთან, ორი ან ერთი ქალი საფლავში ჩახტებიან, დაეძებიან შიგ და მოთქმით ტირიან: „ამის შემდეგ შენ უნდა გახდე სადგომი ანუ საწოლი ჩემის ძმისა (ან ძმისა და სხ. ვინც არის) მეც აქვე უნდა დავიმარხოვო“. სხვა ქალებიც ზევიდგან ჩასტირიან. ქალებს ერთი კაცი საფლავს მოაშორებს და დააჩუმებს. ახლა კაცები საფლავის გარშემო დაემწკრივებიან უფროსი კაცი უკანასკნელად გაიმეორებს იმავ „ი-ი-ი, ოი-მაა, ქალებიც კიდევ ერთიანად ჩამოუვლიან მწკრივად დარაზმულ კაცებს მოთქმითა და ტირილით. ხოლო მესამე გზობისას რომ იტყვიან „ი-ი-ი ოი, მაშკვი ლირდეს“, ხალხი მუხლს მოიყრის უკანასკნელად, მერე ადგება და დაჩუმდება. მიცვალებულს საფლავში ჩაასვენებენ.

დასაფლავების შემდეგ ყველანი ჭირისუფლისას მიდიან. ჭირისუფალს ეზოში გობით სავსე არაყი უდგა. ყოველი გობი იტევს არა ნაკლებ სამის დოქისა და მეტსაც. ყოველი მოტირალი მიუახლოვდება ამ არაყის გობს და პირუტყვსავით დაეხტომება (დაეწაფება) არაყს და დალევს. ამ შემთხვევაში თასს არ ხმარობენ. ყოველი მსმელი შესანდობარს ამბობს: „ხოჩა ლაქუნ ჯაარ“. (კაი სული ექმნებაო). სმის დროს რადგან ჭიქასა ან თასს არ ხმარობენ, წვერ-ულვაშს საზიზღრად არაყში ამოაბანებენ ხოლმე.

შემდეგ ხალხი ჩამომწკრივდება და დასხდება. მასპინძელი მოუტანს პურსა, არაყს და მსხვილ ცერცვის შეჭამადს. პირველში, ჭამის დროს, სვანები ჩუმად არიან და რაკი ცოტა არაყი გაუჯდებათ, ხმასაც ამაღლებენ, გაახოხებენ. ყველა ნაწყენობა, ახალი თუ ძველი, მაშინ გაახსენდებათ და მოისურვებენ შურის გებასა. ამიტომ სვანური ალაპი უჩხუბრად ძვირად თავდება.

უნდა შევნიშნო, რომ სვანი, საზოგადოდ, ფხიზელი, არყის უსმელი, მხდალია. ჩხუბს ძნელად გადაწყვეტს პირისპირ, აშკარადა. პირისპირ სვანი ჩხუბს ვერ ბედავს. ალაპში-კი სვანი, არაყის წყალობით, მხნევდება, შიში ავიწყდება და გამოდის მოედანზე საომრად თოფ-იარაღითა. სვანები ჩხუბს ასტეხენ ხოლმე მხოლოდ ნასმურობის დროს, სადმე დღეობა-დღესასწაულში, ან ალაპში, თორემ უსამელოდ ძლიერ მშვიდრად არიან და ჩხუბი არ იციან.

აქაური მოძღვრები ბევრს სცდილობენ, რომ ესრეთი ჩვეულება მოუშალონ ხალხს, მაგრამ სვანები მაინც თავისას არ იშლიან. სვანს, საზოგადოდ, ადვილად დაითანხმებ და მიიმხრობ, იგი ბევრ წინააღმდეგობას არ გაგიწევს, არამედ გეტყვის: „იე ისგვი მაზიკ მი ალი მტკიც“. (დიახ შენი ჭირიმე, ეგ მართალიაო). მაგრამ გაგშორდება-რა, დაივიწყებს შენს რჩე

---

სოლომანა. დიაღ, შკოლაში ტერ-ასატურა გველოდება უთუოდ!

თალალა (ფანჯარაში იყურება) მაითმინეთ, რა არი, ჩაი მიირთვით. სოფო, გამოდი, ნუშო და კეკა მოდიან!

### გამოსვლა VIII

თალალა, სოფო, კეკა, ნუშო.

(უკანასკნელები შემოდიან საჩქაროთ შუა კარიდამ, სოფო მარცხენიდამ; ნუშო გულში ჩაეკვრება სოფოს უხმოდ, უკანასკნელი ტირილს დაიწყებს; ორიორთა და სოლომანა საჩქაროთ გადიან)

კეკა. თალალჯან, შამიბრალე, გამწარებული ვარ, შვილი დავკარგე, არ ვიცი რა მექნა! (ტახტზე ჩამოჯდება) თვალები გამიშრა, ტირილიც აღარ შამიძლიან, ლამის დავირჩო, ნუშო ხო გამინახევრდა საცოდავი! ძუძუები მეწვება სიმწოვისაგან და იმ დალოცვილ ღმერთს ვერა გავაგებინე-რა! დავკარგე შვილი, დავკარგე ჩემი ნუგეში, ჩემი თვალის ჩინი! რა ვქნა, ქვეყანა შამამეფანტა, შენც-კი არ მამხედე, ჰკვიდამ ლამის შევიშალო!

თალალა. (ტირის) თავს ნუ იკლავ, ღმერთი კიდევ მოწყალეა!

სოფო. (ნუშო წაქცევას აპირებს) დედი, მიშველე! წყალი! (თალალა და კეკა მიეშველებიან, ნუშოს მუთაქაზე მიაწვენენ) დედი, წყალი! (თალალას წყალი მოაქვს) აბა, შენი ჭირიმე, წყალი დალიე!

ნუშო (წამოიწევს) არაფერი!

კეკა. გენაცვალე, შვილო, დამშვიდდი! გულს ნუ იწუხებ, ვანო სოფელში იქნება და ჩამოვა.

ნუშო. არა, არა, იქნება ცოცხალი არც კია! იქნება ვინმემ უმტრო, იქნება მწვანე იაგორამ მოკლა, ვინ იცის, ეხლა სადა გდია ტყეში, უპატრონოდ, მარტოდ! სოფო, რა უბედური ვარ! გამაგებინეთ, სად არი? მკვდარი მიჩვენეთ, ერთი უკანასკნელად დამანახვეთ, უიმისოთ ვერ გავძლებ! არტემა სად არი, იმან გაიგოს! ვანოჯან, სადა ხარ? ერთი უკანასკნელად დამელაპარაკე, უკანასკნელად გამაგებინე შენი ხმა! აღარ ველირსები, აღარ!

სოფო (ტირის) ნუშო, შენ გენაცვალე ნუ სტანჯავ შენ თავს, სოფელში იქნება, ჩამოვა.

ნუშო. ეჰ, სოფო, იმედი დავკარგე, დედაც სულ ამას მეუბნება. მერე როგორღაც სულ დაღონებული იყო, არც-კი მელაპარაკებოდა. ღმერთო, დამიხსენ ამ ტანჯვისაგან! უბედური ვარ, უბედურ დღეს გაჩენილი! (გული უწუხდება. თალალა წყალს მოარბენინებს)

სოფო (ტირილით სტაქანს მიუტანს ტუჩებთან) დამშვიდდი, გენაცვა, ნუშო!

კეკა. ამის ყოფა უფრო მკლამს, არც არასა სჭამს, არცა სძინავს, მიკვირს ჯერ აქამდინ ლოგინად არ ჩავარდა!

სოფო. ნუშო, წამო იქით ოთახში გავიდეთ, იქნება დაიძინო.

ნუშო. არა, არ მეძინება.

კეკა. წადი, შვილო, იქნება დაგეძინოს, თორე მაგრე დიდხანს ვერ გასძლებ.

ნუშო. დედე მოვკვდე! უიმისოდ არც სიცოცხლე მინდა.

სოფო. წამო, წამო, ნუშო! (ხელს მოსჭიდებს)

კეკა. გენაცვალე, გაჰყე, ეცადე ცოტა მაისვენო.

თალალა. წადი, წადი, შვილო, ჯანზე მოდი! (ნუშო წამოდგება და ისა და სოფო გავლენ მარცხნივ მეორე ოთახში).

### გამოსვლა IX

თალალა, კეკა.

კეკა. ანგელოზო, რო იცოდე, რაზე გავარდა ვანო სახლიდამ, ხო თავს მაიკლავდი! ნეტავი ვინ იყო ის ენა, რომელმაც პირველმა წარმოსთქვა ეგ ცეცხლი? ღმერთო მიეც იმას ჩემძაგიერ სასჯელი!

თალალა. შენ ხო დამჯდარი დედაკაცი ხარ, გული მაგრად შეინახე!

კეკა. რაღა შევინახო, დედაკაცი გავაახევრდი; გათენება არ ვიცი და დაღამება. რეებს ამობენ, ქალო, გაგონილა? ვანო მამიდნეს, ვინ იცის, თავიც მაიკლა! ვაი შენ ძუძუებს, უბედურო თავო! წვითა და დაგვით გაზდილი შვილი, ქვეყნის თვალი, ჩემი მზე და მთვარე, ვინ იცის ეხლა სად არი? ქალო, არავინ აღარ შამოდის, როგორც სახადს, ისე გვერიდებიან! არტემაც დავითხოვე, ეს ბიჭიც დაიღუპა, არ ვიცი რა იქნა! ხო გაიგე, რა ცილი მოუდეს ნუშოს, მოუნელებელი ცეცხლი გაუჩინდეთ იმათ გულ-მუცელში! მერე, ვისზე ამობენ, ბიძაშვილზე, არტემაზე, რატო ცეცხლი არ ჩაუვარდებათ მუცელში! ვანო მერე ერთი უთქმელი ვინმეა, ხომ ხმას არ ამოიღებს, არ იტყვის, თუ რა აწვება გულზე! არც ნუშომ იცის აქამდისინ, რა ჭორები დადის თელავში! საწყალი, ჯერ ხო სულ ტიროდა, ეხლა-კი ცრემლი დაუშრა, მთელი საათობით ისე გამოშტერებული ზის, არც მადა აქვს, არც ძილი, მეშინიან არა დაემართოს-რა. მარტო ორნი ვართ სახლში; მაგის ყურებით მე ლამის ჭკვიდამ შავცდე და ერთი ადამიანი არ იყო, რომ ხმა გამეცა! გამოვდიოდი, დავდიოდი ქალაქ-ქალაქ, ვკითხულობდი, ხო ვისმე ჩემი შვილი არ გინახავთ-მეთქი? არავინ არა იცის-რა! შენ ხომ არ იცი, თალალ, მითხარ, გენაცვა, მკვდარი მაინც მიჩვენე!

თალალა (ტირის) კარგი, კეკე! ღმერთი მოწყალეა, კარგათ იქნება.

კეკა. ღმერთო, ამაზე გაჭირებულს ველარა მნახავ; თუ რამე შეგიძლიან, მამხედე.

თალალა. კეკე, ნუ ჰგმობ ღმერთსა, ღმერთია კიდევ ჩვენი მოწყალე.

კეკა. ეჰ, თალალ, ეხლა აღარც ღმერთი მწამს. ბევრი სიღარიბე და უბედურება გამომივლია, მაგრამ ღმერთი მწამებია, ეხლა-კი აღარა მწამს!

თალალა. ნუ ჰგმობ, გენაცვა, კეკე!

ან. ბენაშვილი

(შემდეგი იქნება)

ვას და თავისას შეასრულებს. შემდეგ თუ შეხვდი და უთხარი: რად არ დამიჯერე-თქვა, მოგიგებს: „რა ვქნა, შენი ჭირიმე, ყველა ასე ახარჯებს თავის მკვდარს და მე სხვაზე ნაკლებ ვერ ვიქ, ხალხში თავი არ გამომეყოფა, წამომძახებენ: შენი მკვდარი უდაპოდ ჩააგდეო...“

მღვ. სპირიდონ გაგაშელიშვილი

## წვრილი ამბები

გუშინ ჩვენს გაზეთში, როგორც მკითხველს მოეხსენება, მოთხრობილი იყო ერთის ინგლისელის ამბავი, რომელსაც ორმოცი დღე მშიერი უნდა გაეძლო. როგორც გაზეთები ამბობენ, ახლა ამ კაცს მარხულობის ვადა კიდეც შეუსრულებია. იმის სხეულს სულ ოც-და-თერთმეტი გირვანქა დაჰკლებია წონაში, მაგრამ სიკვდილით მაინც არ მომკვდარა.

— ერთი ინგლისელი გაზეთი ამბობს, რომ ლონდონში მალე შეიკრიბებიან მთელის ევროპის ურიათა წარმომადგენელნი, რათა გამოიძიონ და მოილაპარაკონ იმის შესახებ, თუ რა მიზეზის გამო სძულს საზოგადოდ ყველა ერს ურიები.

— პარიჟის წარწერათა აკადემიას ხუთი ათასი მანათი მიუცია პერრო და შიპიესთვის მათ მიერ შესანიშნავის თხზულების: „Histoire de l' art dans l'Antiquité“-ს (ხელოვნების ისტორია ძველს დროში) დაწერისათვის. ჯერ მხოლოდ პირველი ნაწილი გამოსულა ამ ისტორიისა.

— ამერიკაში ერთი ცხენი სახელად „აქსტელლ“ ოც-და-ოთხს ათას ხუთას თუმნად გაუყიდნიათ.

— გამოსულა ფრანგულს ენაზე და რუსულადაც გადუთარგმნიათ მეცნიერის კიულლერის ფრიად ყურადსაღები თხზულება ჭკუათა არ-მყოფელობის შესახებ. ავტორის სიტყვით ათასში ერთსაც ვერ ნახავთ იმისთანა ადამიანს, რომ ცოტაოდნად მაინ არა ჰქონდეს გონება შემღილი. მთელი ადამიანი თითქმის არცკი არისო. ამიტომაცაო, განაგრძობს ავტორი, ჭკვათა არა-მყოფლობა დასაძრახისი არ არისო. ზოგიერთ კაცს მცირე უგონებობა ავთილ-მობილეს კიდეცაო. ღმერთმა ნუ ჰქმნას, რომ სრულიად მოისპოს ქვეყნად ჭკუა-შეშლილობა: მაშინ აღარავის აღარ ექნება თავისებური, განსაკუთრებული თვისება, ყოველი კაცი სხვას დაემსგავსება, ყველანი დაქუცმაცდებიან, ახალს აზრსა და ახალს საქმეს ვეღარავინ წარმოსთქვამს და ვეღარავინ გააკეთებს და ამით კაცობრიობა წინ ვეღარ წავა, ერთს ალაგას შეჩერდება და დაიღუპებაო.

## დეპეშა

26 აპრილი

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. უმაღლესად დამტკიცდა, გარდაეცეს უწმინდეს სინოდს ჩერნიგოვის ხაზინიდამ 1810 და 1812 წლებში სუდიენკოს მიერ შეწირული ფული ეკკლესიის ასაშენებლად და ძეგლის ასაგებლად პოლტავის მინდორზე, სარგებლითურთ, რათა შეკეთებულ იქმნას სუდიენკოს კაპიტალით იქ აშენებული ეკკლესია, ძეგლი და სხვა შენობები და ეკკლესიის გალავანში იქაურებისათვის გამართულ იქნას 2 კლასიანი საეკკლესიო სამრევლო სკოლა მაინც.

ხელმწიფე იმპერატორმა ინება და ნება დართო, გამოტანილ იქმნას ხაზინიდგან $12^1/_2$ მილიონი $5^1/_2$ წლის განმავლობაში „მარიამის სისტემის“ ძირიანად შეცვლისათვისაო.

საზოგადო ნორმალური წესდება რძის კეთების სკოლებისა უკვე შედგენილია. სკოლები სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს ხელ-ქვეით იქნება. ზოგში უნდა ასწავლონ ერბოს კეთება, ზოგში ყველისა, ზოგი სკოლა იქნება მხოლოდ ვაჟებისათვის და ზოგი მხოლოდ ქალებისათვის; ვინც პირველ ხარისხის სკოლაში გაათავებს სწავლას, იმას, სამხედრო ბეგრის გადახდის დროს, მესამე ხარისხის შეღავათი მიეცემა და ვინც მეორე ხარისხისაში გაათავებს—იმას-კი მეოთხე ხარისხისა.

გუშინ კათოლიკეთა საკათედრო ტაძარში ეკურთხა ეპისკოპოსად ვილენის პრელატი ავამევიჩი. მღვდელ-მოქმედება შეასრულეს ეპისკოპოსთა: ბერესნევიჩმა, ცერომა და იარანოვსკიმ.

გაზ. „Новости“ იტყობინება, რომ სამეურნეო დეპარტამენტმა დაუგზავნა სამეურნეო საზოგადოებათა ცირკულიარები, რომელშიაც მოყვანილია სამინისტროს აზრი ბაღების და ბოსტნების გაშენების შესახებ სახალხო სკოლებთან, რათა გავრცელებულ იქმნას ხალხში საბაღოსნო და საბოსტნო ცოდნა. დეპარტამენტს სურს, რომ „საზოგადოებათ“ ამ გარემოებას მიაქციონ ყურადღება და შეძლებისა დაგვარად დაეხმარონ ამ საქმეს.

„С.-Пет. Вѣд.“ იუწყება, რომ კიევის შაქრის მწარმოებლებმა, რომელნიც სპარსეთში აგზავნიდნენ ელმოსავლეთის მცხოვრებთა გემოზე გაკეთებულ შაქარს, 2 წლის გაჭირების შემდეგ, სრულიად შესწყვიტეს სპარსეთთან ვაჭრობა, რადგანაც იმათ ყოლიფრით ხელს უშლიდა იქაური ავსტრიის სავაჭრო სააგენტო. მაგრამ მაშინ ავსტრიის სააგენტო ჩვენს მწარმოებლებს ისეთს გამოსადეგ შუამდგომლობას დაპირდა შაქრის გასაყიდვისას, რომ იგინი დიდის სიამოვნებით თანახმა გახდნენ ამ შუამდგომლობისა.

ᲠᲝᲛᲘ. იტალია-ეთიოპიის ხელ-შეკრულობის თანახმად მეფე გუმბერტი აღიარებს მენელიკს იმპერატორად და მენილიკი თავის მხრივ აღიარებს მეფის უფლებას იტალიის სამფლობელოზე, რომელიც წითელის ზღვის პირს მდებარეობს. საზღვრებს მერე გაასწორებენ, თანახმად ახლანდელის მფლობელობისა. იმ 4 მილლიონის სარგებლის გადასახდელად და ძირის თანხის გასასტუმრებლად, რომელიც მენელიკმა იტალიის თავდებობით ისესხა, იმპერატორი აძლევს იტალიას ხარრირის საბაჟოს შემოსავალს. თუ ეთიოპელმა იტალიის მიწაზე ჩაიდინა დანაშაული, იტალიის მთავრობის წარმომადგენელთა მიერ იქმნება განსამართლებული.

პეტერბურგის ბირჟა, 24 აპრილი.

| | მყიდველნი | გამყიდველნი | გაიყიდა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო | — „ | „ | 7 08 |
| ტამოჟნის კუპონები | — „ | „ | $141^3/_4$ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | — „ | — „ | $107^1/_2$ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — „ | — „ | 230 |
| —მეორისა | — „ | — „ | 216 |
| —მესამისა | | — „ | $217^1/_4$ |
| გირავნობის ფურცელნი | — „ | | |
| ტფილისის ბანკისა | — „ | — „ | — . |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

### საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყჟ (1890) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7398.

ძველი ინდიქტიონი მე-14

ახალი ქორონიკონი—უპბ=482 წელიწადია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4.

ამისი ქორონიკონი მე-46 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1890 წლის ზედნადებია—17.

აპრილი 30 დღით არის

28 დღე შაბათი. ქართველ. წმ. მოციქულთა იასონ და სოსიპატროსი. კათოლ. წმ. ფიდელისა, ვალერისა და ვიტალისა. სომეხ. 28 დღე აღდგომისა. მზე ამოდის 4—45., ჩადის 7—7. ჭეშმარიტი შუადღე 11—56. მთვარე 21 დღისაა.

29 დღე კვირა. ქართველ. წმ ცხრათა მოწამეთა კვიზიკელთა. კათოლ. წმ. იოსებისა, პეტრესი და თეოდოპისა. სომეხ. ჯვართ გამოჩენა. მზე ამოდის 4—44, ჩადის 7—8. ჭეშმარიტი შუადღე 11—58. მთვარე 22 დღისაა.

30 დღე ორშაბათი. ქართველ. წმ. მოციქულისა იაკობ, ძმისა იოანე მახარებლისა. კათოლ. წმ. ქალწულ-მოწამისა ეკატერინესი. სომეხ. 30 აღდგომის შემდეგ. მზე ამოდის 4—34, ჩადის 7—9. ჭეშმარიტი შუადღე 11—56. მთვარე 23 დღისაა.

## განცხადებანი


ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲝᲑᲐ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡᲐ

1890 წელს მარტის 17 თანახმად რუსეთის კანონდებულების მე-XI ტომის II ნაწ. 65, 67, 68, 76, 79, 81, 83 და 84 მუხლთა, დაარსდა „ქართველთა ამხანაგობა წიგნების გამოცემისა“. პირობა ამხანაგობისა უკვე დამტკიცებულია, საწევრო თანხა (პაი) ღირს 50 მან. და შეიძლება მისი შემოტანა განაწილებით. წევრი მიიღების, თანახმად ამხანაგობის პირობისა, კენჭის ყრით, ამხანაგობამ შეიძინა წიგნის მაღაზია გრ. ჩარკვიანისა და რ. ფანცხავასი. მსურველთ შეუძლიათ ამხანაგობის პირობა ნახონ წიგნის მაღაზიაში, ან ქალაქ გარემე მცხოვრებთ დაიბარონ თავიანთ ხარჯით. ამხანაგობა არა ვისთან მიწერ-მოწერას არა კისრულობს, თუ საპასუხოდ ფოსტის მარკები არ მიიღო. ამასთანავე ამხანაგობა აცხადებს, რომ წიგნები ისყიდება ნაღდ ფულზე და ქალაქ გარემე მცხოვრებთ ეგზავნებათ მყიდველის ხარჯით. მსურველთ შეუძლიათ თავიანთი გამოცემები მიანდონ ამხანაგობას მაღაზიაში გასაყიდად. საკომისიო მიღებულ წიგნებში ამხანაგობა გამომცემელთ აძლევს კვიტანციას. გაყიდულ გამოცემის ფული მსურველთ აუცილებლად ეძლევათ თხოვნის მეორე დღეს. ვისაც რაიმე ნაწერები აქვს გამოსაცემი და სურს გარდასცეს ამხანაგობას,—ვთხოვთ მიჰმართონ ამხანაგობის გამგეობას. მიღებული ნაწერები გარდაეცემა განსახილველად სარედაქციო კომისიას, რომლის მიერ მოწონებულ ნაწერს დაბეჭდავს ამხანაგობა და გამოაცხადებს გაზეთ „ივერიაში“. ამასთანავე ამხანაგობა კისრულობს ნაწერების დაბეჭდვას გამომცემლის ხარჯით, ხოლო შრომის ფასად იღებს რედაქციისა და კორრექტურისათვის გამოცემაზე დახარჯულ ფულიდგან 15%.

ადრესი ქალაქ გარეთ მცხოვრებთათვის: Тифлисъ, правленію „Грузинскаго Издательскаго Товарищества“, Лорисъ-Меликовская ул., д. Зубалова, грузинскій книжн. магазинъ.



ᲡᲐᲢᲣᲐᲚᲔᲢᲝᲓ ᲡᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲥᲐᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ

**არყნის ხის ბალზამი დ-რის ლენგილიასი.**

ჰხმარობენ სახისა და ხელის კანის სითეთრისათვის. რადგანაც ყალბად ამ გვარის ბალზამის კეთება ხშირია, ამიტომ ყურადღება მიაქციეთ აქვე დაბეჭდილს მარკას ფაბრიკისას და ხელ-მოწერილს ჩვენის ერთად-ერთ აგენტის ვასილ ბურისისას ს.-პეტერბურგს, კოლოკოლნი ქუჩაზედ, 18—19. Вашуринъ

ფასი: შუშა ღირს 1 მან. 65 კაპ.; ბენზოს საპონი ღირს 35 და 50 კაპ. თითო ნაჭერი; ღპო-პომადი (კოლდ-კრემზედ უკეთესია) 1 მან.

გაგზავნა და შეხვევა ევროპის რუსეთში ღირს 70 კ., აზიის რუსეთს 1 მან.

ისყიდება რუსეთის ყველა აფთიაქსა, სააფთიაქო და საპარფიუმერო მაღაზიაში.

ტფილისს: კავკასიის სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე ამხანაგობაში, გ. გრივნაკთან, გ. ა. პოპოვთან, მ. მარტირუზოვთანა და ა. პოპოვთან.

(19—3)

**ᲙᲑᲘᲚᲘ ᲐᲦᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲐᲔᲢᲙᲘᲕᲔᲑᲐ**

თუ იხმარებენ

ღირსთა მამათა ბენედიქტელთა გამოგონილს ელიქსირს

სულიაკის სააბატოში (GIRONDE)

ეს ელიქსირი გამოგონილია 1373 წ. პრიორის პეტრე ბურსოს მიერ

ᲓᲐ ᲝᲥᲠᲝᲡ ᲛᲔᲓᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲣᲚᲘ

ბრიუსელში 1880 წ. და ლონდონში 1884 წ.



ყოველ დღე ამ ელიქსირის ხმარებით ადამიანს კბილები გნახვება გაფუჭებისაგან, უთეთრდება, ღრძილები უმაგრდება და პირში საუცხოვო გემო ეძლევა.

ჩვენ მართლაც-და სასახურს ვუწევთ ჩვენს მკითხველებს, თუ იმის ყურადღებას ამ სასარგებლო წამალზედ მივაქცევთ, კბილის ტკივილის ამ საუკეთესო საშუალებაზედ.

ამ ელიქსირს გარდა, მამა ბენედიქტელნი აკეთებენ აგრეთვე კბილის საწმენდს ფხვნილსა.

ეს წამლები და აგრეთვე ელიქსირი ყველა დიდს აფთიაქსა და სააფთიაქო და საპარფიუმერო მაღაზიაში შეუძლიან მსურველმა იყიდოს.

უმთავრესი აგენტი: Arde Seguin, Boux, rue Croix de Seguey, № 106

(208—8)

სასტუმრო

„ᲞᲔᲠ-ᲚᲐᲨᲔᲖ“

(გოლოვინის პროსპექტზედ, თ. მუხრან-ბატონის სახლებში—ადგილობრივ კლუბს ქვეშ)

მუდამ დღე მზადდება ყოველ გვარი, ადგილობრივი და ევროპიული გემოვნება ზედ გაკეთებული, საჭმელი.

ᲘᲛᲔᲠᲣᲚᲡ და ᲒᲣᲠᲣᲚᲡ საჭმელებს ამზადებს საგანგებოდ გურიიდგან მოწვეული მზარეული.

ორი თავი საჭმელი ღირს თვიურად 12 მანათი. მსურველთ სახლებშიაც გუგზავნით.

სასმელები: გვაქვს ყოველ ნაირი ღვინო მუხრან-ბატონისა (იმისავე შამპანური ღვინო), კახური ღვინოები საუკეთესო ფირმებიდგან ბოთლი ორ აბაზიდამ, ვიდრე მანეთ ნახევრამდე.

ლუდები (პივო) ყველა ადგილობრივის ქარხნისა, აგრეთვე ადესისა და ჟიგულევსკის ქარხნებიდამ. ყოველ გვარი ტკბილი სასმელი (ლიკორები) და საზღვარ-გარეთის ღვინოები.

სასტუმროში გამართული გვაქვს განსაკუთრებული საოჯახო ოთახები (ცალკე კაბინეტები).

მოგვდის, ადგილობრივს გარდა, სატახტო ქალაქების ზოგი ჟურნალ-გაზეთიც.

ცალკე გამართული გვაქვს ფრანგული და რუსული ბილიარდები*). გვაქვს აგრეთვე ნარდი და ჭადრაკი (შახმატი).

სასტუმროსა აქვს აკეჯით მორთული ოთახები, რომელნიც დღიურად ღირს ათ შაურიდგან მანეთ ნახევრამდე.

ვინც თთვეობით აიღებს, დაეთმობა მთელის ფასის ერთი მესამედი.

სასტუმროს პატრონები: { ი. მამინაიშვილი და ა. თოიძე.

*) რუსული ბილიარდი კავკასიის გამოფენაზე შევიძინეთ. ამ ბილიარდმა პირველი ჯილდო მიიღო.

(25—16)

**БРЯНСКЪ (Орловск. губ.)**

**ПОДПИСКА ПРОДОЛЖАЕТСЯ НА 1890 ГОДЪ**

на АКУШЕРСКО-ФЕЛЬДШЕРСКІЙ ПОПУЛЯРНО-МЕДИЦИНСКІЙ ЖУРНАЛЪ

**„АКУШЕРКА“**

На годъ 3 руб., ½ года 2 руб., 3 мѣс. 1 руб.

Подписка принимается:

Въ редакціи журн. „АКУШЕРКА“. БРЯНСКЪ, Орловской губ.

Въ книжныхъ магазинахъ:

Въ С.-ПЕТЕРБУРГѢ, К. РИККЕРЪ, Невскій проспектъ, 14.

Въ МОСКВѢ, А. ЛАНГЪ, Кузнецкій мостъ.

Редакторъ-издатель акушеръ АМБРОЖЕВИЧЪ.

(3—1)


Доз. ценз. Тифлисъ, 27-го Апрѣля 1890 г. Типо-Литографія К. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე